

UDC 001.4

SCOPUS CODE 1203

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-2-9-14>

## ხარვეზები ტექნიკურ ტერმინოლოგიაში

**ლიანა სუთიძე** სამშენებლო მანქანების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68<sup>ბ</sup>  
E-mail: L.sutidze@gtu.ge

### რეცენზენტები:

**ვ. პაპასკირი**, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: papaskiri@pisem.net

**მ. ბარბაქაძე**, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: mblk2@mail.ru

**ანოტაცია.** კვლავ ტექნიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში წარმოდგენილ ბუდეებსა და, ჩემი აზრით, მათში განთავსებული ზოგიერთი ტერმინის შეუსაბამობაზე.

ამჯერად ხელთ მაქვს ტექნიკური ტერმინოლოგიის რუსულ-ქართული ნაწილი, გამოცემული 1989 წელს, ანუ ქართულ-რუსულ ნაწილთან შედარებით რამდენიმე წლით გვიან, თუმცა ეს ნაწილები სარკისებურად თითქმის იდენტურია. ბუდეების სისტემას ლექსიკონის ავტორები მოცულობის შესამცირებლად იყენებენ, თუმცა ბუდეები საკმაოდ მოცულობითია და მათში განთავსებული ტერმინები, ხშირ შემთხვევაში, ფუნქციურად ძირითად ტერმინს არ უკავშირდება.

მაგალითად, 30-ე გვერდზე მოცემულია ტერმინი **бетон бетони**. თუ მასში იგულისხმება ბეტონის ნარევი, რაც ასეც უნდა იყოს, მაშინ მის ბუდეში არ უნდა იყოს ტერმინები: დაარმატურებული ბ; მცირედ დაარმატურებული ბ; ცენტრიდანული ბ. ნატკეპნი ბ. და ა.შ. ეს ტერმინები თავისი ფუნქციური შინაარსით განეკუთვნება ბეტონისგან წარმოებულ ბეტონის ქვის ნაკეთობებს. აქვე აღვნიშნავ, რომ **დაარმატურება** არის მიზანშეუწონელი ტერმინი და უნდა იყოს **არმირება**.

გვ. 132 **Изделие ნაკეთობა** ორი ტერმინით არის წარმოდგენილი: **ნაკეთი და ნაკეთობა**. ჩემი აზრით, ეს ორი ტერმინი განსხვავებულია ერთმანეთისგან შინაარსობრივ-ფუნქციურად და უნდა გაიმიჯნოს. **ნაკეთი** აღნიშნავს საგნის დამზადებისა და შესრუ-

ლებული სამუშაოს სახეს, მაგ. ხელით ნ; ქარხნული ნ; აბრეშუმის ნ. და სხვ. **ნაკეთობა** კი კონკრეტული სახისა და დანიშნულების საგანია, მაგ. ბეტონის ფილა, კერამიკული ფილა და სხვ.

ვუბრუნდები ნართანთან კომპოზიტების საკითხს. მაგ. გვ. 115 **завод ქარხანა**, რომლის საკმაოდ მოცულობით ბუდეში ორ ერთნაირკომპონენტთან კომპოზიტში ერთი ნართანთანია, მეორე – არა. მაგ. ელექტრომავალსარემონტო ქ. და ელექტრომავალსაშენი ქ. რაც კომპოზიტების ქაოსურად შედგენის ტენდენციაზე მიუთითებს. ამავე დროს, ტერმინთა ბუდეების მოცულობა საკმაოდ გაზრდილია შესაბამისი შეუკვეციელი ქართული ტერმინებით.

**საკვანძო სიტყვები:** ბეტონი; ბუდე; კაბელი; კომპოზიტი; ნაკეთობა; ტერმინი.

## შესავალი

ტექნიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ნაწილები) მრავალი ტერმინი ე.წ. ბუდეების სახით არის წარმოდგენილი. ისინი, ხშირად, საკმაოდ მოცულობითია და, ალბათ, განკუთვნილია ტექნიკური ლიტერატურის მთარგმნელთათვის. ავტორთა აზრით, ბუდეების სისტემა გამოყენებულია ლექსიკონის მოცულობის შესამცირებლად: „სალექსიკონო ერთეულად გამოტანილია არსებითი სახელი და ყველა გამოთქმა ამ სახელთან იყრის თავს“. მე სხვაგვარად შევხედავდი ბუდეების დანიშნულებას და მათში განვათავსებდი ფუნქციურად დაკავშირებულ ტერმინებს, რითაც ბუდეების დანიშნულება აზრს შეიძენდა.

ბუდეებში განთავსებული ტერმინები საგნობრივად ხშირად არ არის კავშირში. მაგალითად, **კაბელამწე** არ უნდა იძებნებოდეს კაბელის ბუდეში. აღნიშნული ბუდეები საკმაოდ მოცულობითია და ხშირ შემთხვევაში საჭიროებს გამარტივებას, თუნდაც ტერმინთა შემოკლების ხარჯზე და ტერმინთა განცალკევებას მათი საგნობრივ-ფუნქციური დანიშნულების და აღქმის შესაბამისად.

თუ ახალი ტექნიკური ტერმინოლოგია, რომლის გამოსაცემად მოსამზადებელი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს, ჩაფიქრებულია როგორც განმარტებითი ლექსიკონი, მაშინ ე.წ. ბუდეების საჭიროებას მე იქვე ვხედავ. უფრო ყურადსაღებია კომპოზიტი ტერმინების საკმაო მოჭარბება ქართულ მეტყველებაში და მათი ქაოსურად წარმოქმნა, რაც არ ექვემდებარება რაიმე კანონზომიერებას და ვისაც როგორ უნდა ისე წერს და კითხულობს. შედეგად, ვლებულობთ არა მარტო ორ-, არამედ სამ- და მეტსიტყვიან კომპოზიტებს, რაც აუარესებს სამეტყველო ენას და უცხო ენაზე სათარგმნადაც საკმაოდ რთულია.

## ძირითადი ნაწილი

განვიხილოთ ტექნიკური ტერმინოლოგიის რუსულ-ქართულ ნაწილში მოცემული ბუდეები და მათში არსებული ხარვეზები.

გვ.30, ტერმინი **бетон бეტონი**. წესით, აქ უნდა ვიგულისხმოთ **ბეტონის ნარევი**, რომელიც შემადგენელი კომპონენტების რაობისა და მათი ნარევი პროცენტული რაოდენობის მიხედვით არის სხვადასხვა სახის, რაც განაპირობებს ბეტონის ნარევის ხარისხს (სიმტკიცე, დენადობა) და გამოყენების არეს. აქედან გამომდინარე, ბეტონის დასახელებაც

არის შესაბამისი. მაგ. მსუბუქი, ხისტი, ჰიდროტექნიკური, ყინვაგამძლე, წიდაბეტონი და სხვ. **ბეტონის** ბუდეში კი გვხვდება: არმირებული, ნაკლებარმირებული, უტკეპნი, წინასწარდაბეჭდილი, ცენტრიდანული და სხვ. ისინი მხოლოდ დაბეტონების და გამყარების შედეგად მიღებული ნაკეთობების მახასიათებლებია. მაშასადამე, მათი განთავსება ბეტონის ბუდეში მიზანშეუწონელია და უნდა გამოცალკევდეს **бетонное изделие**-ს ანუ **ბეტონის ნაკეთობის** ბუდეში.

შევნიშნავ, რომ ერთდროულად არის გამოყენებული ტერმინები **არმირება** და **დაარმატურება**. არმირება არის პროცესი, რომელიც გულისხმობს არმატურის განთავსებას ნაკეთობის შიგნით, ამიტომ ტერმინი **დაარმატურება** სწორად არ მიმაჩნია.

გვ.132, ტერმინი **изделие ნაკეთი; ნაკეთობა**. ნაკეთი უფრო საგნის, ნივთის დამზადების ხერხსა და მასალაზე მიანიშნებს, მაგალითად: ხელნაკეთი, ქარხნული, კუსტარული, აბრეშუმის, პლასტმასის და სხვ. რაც შეეხება **ნაკეთობას**, იგი კონკრეტული სახეობის და დანიშნულების საგანია, მაგ. ბეტონის ფილა, კერამიკული ფილა, საიუველირო ნაწარმი და ა.შ. აღნიშნული ბუდე, რატომღაც, **ნაკეთით** არის წარმოდგენილი, რაც არასწორად მიმაჩნია. უპირატესობას **ნაკეთობას** მივანიჭებდი და მას ასე გამოვაცალკევებდი: **Изделие 1 ნაკეთობა და изделие 2 ნაკეთი**.

ანალოგიურად განვიხილავ ტერმინს **сталь ფოლადი**, გვ.415. **ფოლადი** თავისთავად წარმოადგენს მასალას, რომელიც მზადდება სხვადასხვა ქიმიური შედგენილობის, რაც განაპირობებს მის თვისებებს და ხარისხს. მაგ. ლეგირებული, დაბალნახშირბადიანი, მაღალნახშირბადიანი, საკონსტრუქციო, მოდიფიცირებული და სხვ. მის ბუდეში, რომელიც

საკმაოდ დიდი მოცულობისაა, გვხვდება უკვე ფოლადისგან დამზადებული ნაკეთობები, როგორებიცაა სხვადასხვა სახის პროფილები, კუთხოვანები, ნაგლინები, რელსები, არმატურა და სხვ. აქედან გამომდინარე, საჭიროა განვაცალკევოთ ფოლადისა და მისი ნაკეთობების ბუდეები.

გვ.65 ტერმინი **выемка ამოღება; ამონაღები; ნათხარი**. ამ სამი შემოთავაზებული ტერმინიდან **ამოღება** ზმნის საწყისი ფორმაა, ხოლო დანარჩენი ორიდან უპირატესობას არცერთს არ მივანიჭებდი. მიმაჩნია, რომ უნდა იყოს **თხრილი**.

გვ.145 ტერმინი **кабель კაბელი**. მის ბუდეში კაბელის სახეობების გვერდით, რატომღაც, მოხვდა **к.-кран კაბელ-ამწე; к.-кран параллельный პარალელური კაბელ-ამწე; к.-кран радиальный რადიალური კაბელ-ამწე**, რაც სრულიად შეუსაბამოა და ამწეების ბუდეში უნდა იყოს განთავსებული.

გვ.129 ტერმინი **зона ზონა; არე**. ჩემი აზრით, **ზონა** უფრო ლოკალურია, ხოლო **არე** – მოცულობითი, დიდი. საკმაოდ მოზრდილ ბუდეში მხოლოდ რამდენიმე ტერმინია **არე**-თი მითითებული, მაგალითად, **з. коксования დაკოქსვის არე** და **з. нагрева გახურების არე**. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში **ზონა** უფრო მართებულია, ხოლო რაც შეეხება **з. критическая კრიზისული არე**-ს, უნდა იყოს **კრიტიკული ზონა**. ანალოგიურად, **з. прямой видимости უშუალო ხილვადობის ზონა**, უმჯობესია – **პირდაპირი ხილვადობის არე**.

გვ.135 **изоляция იზოლატორი; მამხოლოებელი** და გვ.136 **изоляция იზოლაცია; განმხოლოება**. პირველის ბუდეში მხოლოდ ტერმინი **იზოლატორია** გამოყენებული, ხოლო მეორეში – **განმხოლოება**. პრაქტიკულად, **მამხოლოებელი** და **განმხოლოება**

იშვიათად, ან სულაც არ გამოიყენება და რუსული კალკი დომინირებს.

გვ.138 **кривая მრუდი; წირი**. ბუდეში გვხვდება ერთიც და მეორეც. თუ ვთანხმდებით, რომ უმჯობესია ტერმინს ჰქონდეს ერთი შესატყვისი, მაშინ უპირატესობა **მრუდს** უნდა მივანიჭოთ, რადგანაც მასთან მრავალი წარმონაქმნია დაკავშირებული: **кривизна სიმრუდე, криво მრუდედ, криволинейный მრუდბაზოვანი, кривошип მრუდმხარა** და ა.შ.

გვ.187 **крюк კაკვი**. კაკვი-ს გამოყენება მძლავრ ამწე ტექნიკურ საშუალებებთან მიმართებაში არ არის მიზანშეწონილი. ტვირთამწევი და მისაბმელი მანქანების კონსტრუქციებში მიღებულია ტერმინი **კაკვი** და, შესაბამისად, **კაკური საკიდი (крюковая подвеска)**. ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი გამოცემა „სიტყვარი“ (1921 წ.) გვთავაზობს ორივე ტერმინს **კაკვი, კაკვი**, თუმცა შემდგომ გამოცემებში რატომღაც უპირატესობა მინიჭებული აქვს **კაკვს**, რომელიც უფრო არის **крючок**-ის შესატყვისი.

გვ. 195 **линия წირი; ხაზი**. აქვე შეძლება დაემატოს **წრფე**, თუმცა ერთი ტერმინის არჩევის შემთხვევაში უპირატესობას მივანიჭებ **ხაზ**-ს, ოღონდ მას განვაცალკევებდი შემდეგნაირად:

**линия 1 ხაზი 1**. იგულისხმება წარმოსახვითი ხაზები, როგორებიცაა **საჰაერო, სააბონენტო, რადიოკავშირის, მაღალი ძაბვის** და სხვ.

**линия 2 ხაზი 2**. ჩვეულებრივი, გეომეტრიული ხაზები, როგორებიცაა **პარალელური, კბილების წვეროთა, ძალთა** და სხვ.

**линия 3 წრფე**. მაგალითად, წრფივი განტოლება, წერტილთა განლაგება წრფეზე და სხვ.

გვ. 227 **мощность სიმძლავრე**. მის საკმაოდ მოცულობით ბუდეში მოხვედრილია სრულიად განსხვავებული მნიშვნელობისა და განზომილების სიმძლავრეები. მაგ. **ძრავას სიმძლავრე და საგადასახადო სიმძლავრე; სიმძლავრე კავზე და ხმაურთა სიმძლავრე; დადგმული სიმძლავრე და მიწისპირა სიმძლავრე (?)** და სხვ.

გვ.149 **канал არხი; დარი**. ამ შემთხვევაშიც საჭიროა გაიმიჯნოს **არხი და დარი**, ხოლო **არხი** წარმოვადგინოთ ორი სახის: **არხი 1** – სავენტილაციო, სარწყავი, სადერივაციო... და **არხი 2** – სატელევიზიო, რადიოკავშირის, სიხშირის და სხვ.

გვ. 336 **путь გზა; ლიანდაგი**. აქ ცოტა რთულად არის საქმე, იგულისხმება **რკინიგზა (железная дорога)**, თუმცა გამოიყენება რუსული კალკი **გზათა მიმოსვლა (пути сообщения)**, რომელშიც **სარკინიგზო მიმოსვლა** იგულისხმება. შესაბამისად, უნდა გვქონდეს **სარკინიგზო დეპარტამენტი** და არა **გზათა მიმოსვლის დეპარტამენტი**.

გვ. 402 **соединение შეერთება; ნაერთი**. უნდა განვასხვავოთ და გავაცალკევოთ **შეერთება** (შედულებით, ჭანჭიკებით, სოგმანებით...) და **ნაერთი** (იონური, მონოციკლური, მაღალმოლეკულური...).

გვ.408 **состав შედგენილობა; შემადგენლობა**. აქაც, ჩემი აზრით, მიზანშეწონილი იქნება გავაცალკევოთ **შედგენილობა** (ნივთიერების, მადნის, ქიმიური...) და **შემადგენლობა** (მატარებლის, სამანევრო, დატვირთული...).

რამდენიმე შენიშვნა ტერმინ **კოეფიციენტის** ბუდის მიმართ:

**К. армирования დაარმატურების კოეფიციენტი**. უნდა იყოს **არმირების კ**;

**К. использования сцепного веса ჩაჭიდებათა წონის გამოყენების კოეფიციენტი**. უნდა იყოს **ჩაჭიდების ძალის გამოყენების კ**;

**К. однородности** ერთგვარობის კოეფიციენტი. უნდა იყოს ერთგვაროვნების კ;

**К. перегрузки** გადამტვირთვის კოეფიციენტი. უნდა იყოს გადატვირთვის კ;

**К. температуропроводности** ტემპერატურის გამტარობის კოეფიციენტი. უნდა იყოს ტემპერატურული გამტარობის კ.

ტერმინს **прочность** სამი სინონიმი აქვს მითითებული: **სიმტკიცე; სიმკვიდრე; გამძლეობა**. მის ბუდეში კი მხოლოდ **სიმტკიცეა** გამოყენებული. მაშასადამე, დანარჩენი ორი უნდა გამოვირიცხოთ.

ლექსიკონში ტერმინი **платформа** ორი ტერმინით არის წარმოდგენილი: **ბაქანი** და **პლატფორმა**. ჩემი აზრით, უმჯობესია **ბაქანი** გამოვიყენოთ ტექნიკური საშუალებების მიმართ (ექსკავატორის საბურთი ბაქანი, რკინიგზის ბაქანი...) ხოლო **პლატფორმა** დავტოვოთ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში.

კვლავ ვუბრუნდები **ნართანთან** ტერმინ-კომპოზიტების საკითხს. გვ.115 **завод ქარხანა**. მის ბუდეში ერთი და იგივე კომპოზიტი **უ** მაკავშირებით და მის გარეშეა წარმოდგენილი. მაგ. **ელექტრომაგალსარემონტო** ქარხანა და **ელექტრომაგალთსაშენი** ქარხანა; **ელექტრომაგალთმშენებლობა** და **ელმაგალმშენებლობა**; სწორად არ მიმაჩნია ტერმინიმოქმედება; კომბაინიმშენებლობა; ბგერაიმაყუჩი;

ხერხთსალესი; კომპლექსიწარმოქმნა და სხვ. გარდა იმისა, რომ საქმე გვაქვს არასაჭირო მრავლობითობასთან, ამავე დროს სამეტყველოდაც მოუხერხებელია, თუმცა ვეთანხმები შემდეგ გამონაკლისებს: მანქანათმშენებლობა, ენათმეცნიერება, მიწათსარგებლობა, ხუროთმოძღვრება და სხვ.

მეტყველებამ მიიღო და მშვენივრად გამოითქმის კომპოზიტები მაკავშირებელი **უ-ს** გარეშე: გემსაშენი, შპალსაჟღენთი, ვაგონშემკეთებელი, ქალაქმშენებლობა. მადანსადნობი, ნავთობსახდელი, ნავთობსადენი, წყალსადენი და სხვ.

### დასკვნა

კიდევ მრავალი ხარვეზის შემცველი მაგალითის მოტანა არის შესაძლებელი, თუმცა წარმოდგენილიც საკმარისია აღნიშნულ ლექსიკონში არსებული ხარვეზების წარმოსაჩენად.

არსებულ ტექნიკურ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში განთავსებული ტერმინთა ბუდეები გადახედვას მოითხოვს.

რაც შეეხება ნართანთან სიტყვა-კომპოზიტებს, აქ მეტი სიფრთხილეა საჭირო, რათა ხელოვნურად არ წარმოიქმნას ძნელად წარმოსათქმელი და რთულად დასაწერ-გასაგები ტერმინები, მაგალითად, როგორც არის „სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონი“.

### ლიტერატურა

1. *Technical terminology (Russian-Georgian part)*. (1989). Tbilisi: Metsniereba.
2. Sutidze, L., Iakobashvili, G. (2012). *Explanatory dictionary of hoist transport, road construction machines and equipment*. Tbilisi: Georgian Technical University.
3. TSU Press. (2020). *The first Georgian Terminology Dictionary, 1920*. Tbilisi: TSU Press.

UDC 001.4

SCOPUS CODE 1203

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-2-9-14>

## About Some Oversight in Technical Terminology

**Liana Sutidze**

Department of Building Machines, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68<sup>b</sup>, M. Kostava str.

E-mail: l.sutidze@gtu.ge

### Reviewers:

**V. Papaskiri**, Professor, Faculty of Engineering Economic, Media Technology and Social Sciences, GTU

E-mail: papaskiri@pisem.net

**M. Barbakadze**, Associate Professor, Faculty of Construction, GTU

E-mail: mblk2@mail.ru

**Abstract.** The struggle against the oversight in some technical terms translated in dictionaries still continues. Russian-Georgian part of the Technical Terminology was published in 1989, several years later after the Georgian-Russian part. Despite the difference in time, both parts seem identical with only few exceptions.

The so-called *nests* are designated to fully show the practical usage of the given term in the technical sphere, with its correct grammatical and meaningful (functional) forms. However, the terms placed in the *nests* are often not substantively related.

It should also be mentioned that these *nests* are quite voluminous and often require simplification, even at the expense of abbreviating terms and separating terms according to their subject-functional purpose and perception.

**Keywords:** article; cable; concrete; composite; nest; term.

*განხილვის თარიღი 23.02.2022*

*შემოსვლის თარიღი 10.03.2022*

*ხელმოწერილია დასაბეჭდად 06.06.2022*